

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა
საფრანგეთისმცოდნეობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	დამატებითი პროგრამა: საფრანგეთისმცოდნეობა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2022 წელს და ექვემდებარება განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ემერიტუსი პროფესორი მზალო დობტურიშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
დამატებითი პროგრამა შეთავაზებულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეცილობის არჩევა სტუდენტებს შეუძლიათ მე-2 სემესტრის დაწყებამდე.	
პროგრამის მიზნები	
პროგრამის მიზანია აღჭურვოს კურსდამთავრებული ფრანგული ენის ცოდნით B1 დონეზე, შეასწავლოს ფრანგული ენათმეცნიერების საფუძვლები და მისცეს მას საბაზისო ცოდნა ფრანგული ლიტერატურის, ისტორიის და კულტურის შესახებ.	
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	
<p>პროგრამის კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფლობს ფრანგულ ენას მინიმუმ B1 დონეზე; • ავლენს ცოდნას ფრანგული ენის ძირითადი ენათმეცნიერული კატეგორიების შესახებ; • ავლენს ცოდნას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი პერიოდების შესახებ; <p>პროგრამის კურსდამთავრებულს:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ძირითადი ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გამოყენებით ენის სტრუქტურისა და ენობრივი სისტემის ძირითადი კანონზომიერებების აღწერა; • შეუძლია ძირითადი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიის გამოყენებით ფრანგული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი ავტორების ცნობილი ნაწარმოებების აღწერა და ანალიზი; • შეუძლია ინტერკულტურული კონტექსტის გააზრება. 	
სწავლების მეთოდები	
<ul style="list-style-type: none"> • ლექცია; • სემინარი; • ანალიზი და სინთეზი; • პრაქტიკული მეთოდი; • დისკუსია / დებატები; • დემონსტრირების მეთოდი; • ელექტრონული სწავლების ელემენტები; • გონებრივი იერიში; • ჯგუფური მუშაობა. 	
სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდები, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.	
პროგრამის სტრუქტურა	
საფრანგეთისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:	
<ol style="list-style-type: none"> 1. <u>სავალდებულო</u> კურსები - კოდით - HUMFRGEN – 36 კრედიტი: <ul style="list-style-type: none"> • საფრანგეთი - ისტორია და კულტურა • ფრანგული ენის მორფოლოგია • ფრანგული ენის სინტაქსი • ფრანგული ენის ლექსიკოლოგია • ფრანგული ლიტერატურის ისტორია 	

- ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი B1.2
2. სავალდებულო და/ან სავალდებულო-არჩევითი კურსები - კოდით - HUMFR – 24 კრედიტი, მათ შორის ენის პრაქტიკული კურსები

შეფასების წესი

შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით. ქულები ნაწილდება და ისაზღვრება შემდეგნაირად:

- (A) 91-100 ფრიადი
- (B) 81-90 ძალიან კარგი
- (C) 71-80 კარგი
- (D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51-60 საკმარისი
- (FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) 0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები

- საერთაშორისო-კულტურული ურთიერთობები - საელჩოს/საკონსულოს თანამშრომლად;
- საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები;
- სოციალურ-ჰუმანიტარული და ბიზნესის სფეროები - თარჯიმან-რეფერენტად;
- საჯარო სექტორი: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო;
- კულტურული ტურიზმი;
- არასამთავრობო სექტორი;
- საგამომცემლო დაწესებულებები: რედაქციები, გამომცემლობები;
- მასობრივი მედია და ჟურნალისტიკა: ფრანგულენოვანი გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო და ახალი მედიები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- კომპიუტერული კლასები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კვლევითი ცენტრი „რომანული ურთიერთგაგება. ინტერტექსტუალური დიალოგი“ ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-Learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin.